ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №125

29 აპრილი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების განმეორებითი საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ჩოხატაურის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის მე–10 პუნქტის და 19^3 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოტანილ იქნას განმეორებით საჯარო აუქციონზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდივანში მდებარე შენობა–ნაგებობა და მასზე დამაგრებული 180 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.18.21.014).
2. საპრივატიზებო ქონების საწყისი გასაყიდი ფასის, ,,ბე“–ს, სავაჭრო ბიჯისა და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასის ოდენობა დადგინდეს დანართი 1–ს შესაბამისად.
3. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი 2–ს შესაბამისად.

4. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას ვებგვერდზე www.eauction.ge და ადგილობრივ პრესაში.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს (ზურაბ ჩანტლაძე) სააუქციონე ინფორმაციის გამოცხადების მომსახურების საფასურის ანაზღაურება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*